

აღტე უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

(დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს 2022 წლის 30 სექტემბრის კრების ოქმით)

შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....	3
მუხლი 2. უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესი.....	3
მუხლი 3. საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება.....	8

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია შპს “ალტე უნივერსიტეტი” (შემდგომში “უნივერსიტეტი”) მოქმედ აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე უცხოელ სტუდენტთა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მოზიდვის და სასწავლო პროცესის და სამეცნიერო კვლევების ინტერნაციონალიზაციის მიზნით.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და პროცედურები გამოიყენება უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების, სამეცნიერო საქმიანობისა და სტუდენტური სერვისების, აგრეთვე, სხვა ქვეყნის უსდ-ებთან ყველა სახის გაცვლითი პროგრამის განხორციელებისას.

მუხლი 2. უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესი

ინტერნაციონალიზაციის პროცესი რამდენიმე მიმართულებით, გარკვეული ქმედებების განხორციელებას გულისხმობს:

- 1. სტუდენტებთან მუშაობის მიმართულებით** – გაცვლითი პროგრამების ამუშავებას, ერთობლივი პროგრამების ამუშავებას, უცხოელი სტუდენტების მიღებას, ქართველი სტუდენტების უცხოეთში სასწავლებლად წარგზავნას (სტუდენტთა ინდივიდუალური მობილობის მართვას).
- 2. აკადემიური პერსონალის მიმართულებით** – გაცვლითი პროგრამების შემუშავებას, ერთობლივი პროგრამების შემუშავებას, პროფესორთა და მკვლევართა გაცვლას, უცხოელი პროფესორების პროგრამაში ჩართვას, ერთობლივი კვლევითი სამუშაოების ჩატარებას, საზღვარგარეთ უნივერსიტეტებში სტაჟირებას და ინტენსიური კურსების მოწყობას და სხვ. უნივერსიტეტი სამუშაოდ იწვევს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ მაღალი კვალიფიკაციის მქონე ლექტორებს. მემორანდუმების საფუძველზე თანამშრომლობს ამერიკის, ევროპისა და აზიის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, რაც ითვალისწინებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობას, გაცვლით პროგრამებს და ერთობლივ სამეცნიერო კვლევებს, სადაც ჩართული არიან როგორც პროფესორ-მასწავლებლები, ასევე, სტუდენტები.
- 3. სასწავლო პროცესის მიმართულებით** სტუდენტთა სასწავლო პროცესის დაგეგმვას, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას, ერთობლივი დიპლომების გაცემას

(ერთობლივი პროგრამა), განათლების დოკუმენტების საერთაშორისო აღიარებას, განათლების ხარისხის შეფასების საკითხებს.

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას, გათვალისწინებულია საერთაშორისო სტანდარტები და უცხოელ ექსპერტთა რეკომენდაციები. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ევროპული მოდელის გათვალისწინებით: მოქმედებს ევროპული კრედიტების სისტემა (ECTS), გამოიყენება დადებითი შეფასების პროცენტული გადანაწილების მოდელი (ე. წ. გაუსის განაწილება).

ევროპასა და აშშ-ში აპრობირებული სქემის გათვალისწინებით, უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა ელექტრონული პორტალი, რომლის საშუალებით, სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს მიეწოდებათ ინფორმაცია გაცვლითი პროგრამების, სტიპენდიების და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების შესახებ. სისტემატიურ რეჟიმში ხდება მონაცემთა შეგროვება და სტატისტიკური ანალიზი, ასევე, მიმდინარეობს სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების გამოკითხვა მათი საჭიროებების შესახებ.

4. საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით გაცვლითი პროგრამების ამუშავებას, უცხოელი პროფესორების პროგრამაში ჩართვას, საერთაშორისო კვლევების წარმოებას. ალტე უნივერსიტეტში იმართება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, სადაც ალტეს სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, მონაწილეობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული დელეგატები.

Erasmus+ პროგრამის ფარგლებში, ალტე უნივერსიტეტი თანამშრომლობს პარტნიორ უნივერსიტეტებთან სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების მობილობის კუთხით.

ალტე უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საერთაშორისო ურთიერთობების და კვლევების დეპარტამენტი, რომლის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას უცხოელი პარტნიორების მოზიდვა და მათთან კომუნიკაცია წარმოადგენს.

5. უცხოელი სტუდენტებისა და პერსონალის მოზიდვის კუთხით

5.1. უცხოელ სტუდენტთა მოზიდვაზე პასუხისმგებელია:

- ✓ სტუდენტთა რეკრუტირების, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი;

- ✓ ადამიანური კაპიტალის მართვისა და სტუდენტთა წარმატების დეპარტამენტი;
- ✓ საერთაშორისო ურთიერთობებისა და კვლევების დეპარტამენტი;
- ✓ შესაბამისი სკოლა.

5.1.2. პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ მარკეტინგული მასალის შემუშავებას, რომელიც გამიზნულია უცხოელი სტუდენტებისათვის და ასახავს სრულ ინფორმაციას ალტე უნივერსიტეტის შესახებ, მის მისიას, ღირებულებებს, მიზნებს, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალს და აღწერილობას, ინფორმაციას მათი განხორციელების უზრუნველყოფის ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ.

5.1.3. უცხოელი სტუდენტის მობილობის შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს სტუდენტის ნიშნების ფურცელის დამუშავებას დადგენილი წესის შესაბამისად

5.1.4. პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ მარკეტინგული მასალების თარგმნას ინგლისურ ენაზე და მათ განთავსებას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რათა ის მარტივად ხელმისაწვდომი იყოს როგორც მომავალი სტუდენტებისათვის, ასევე ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. შესაძლებელია, მარკეტინგული მასალა დამატებით ითარგმნოს სხვა უცხოურ ენაზე/ენებზე იმის გათვალისწინებით, თუ რომელი ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გეგმავს ალტე უნივერსიტეტი საგანმანათლებლო თანამშრომლობას თავისი სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე.

5.2. უნივერსიტეტი მუშაობს როგორც შესაბამისი პროფილის სააგენტოებთან, ასევე ინდივიდუალურ აგენტებთან, რომელთა საქმიანობა წარმოადგენს უცხოელ სტუდენტთა მოზიდვას.

5.3. სტუდენტთა რეკრუტირების, მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტთან ფუნქციონირებს „ალტე უნივერსიტეტის ელჩთა კომიტეტი“, რომელიც წარმოადგენილია როგორც სტუდენტებით, ასევე კურსდამთავრებულებით. ალტე უნივერსიტეტის ელჩობა ნებაყოფლობითია. ამ სტატუსის მოპოვება შესაძლებელია სტუდენტთა რეკრუტირების, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამსახურის მიერ გამოცხადებულ შერჩევის

პროცესში ჩართვითა და თითოეული ეტაპის წარმატებით გავლის შედეგად, რაც გულისხმობს სტუდენტის მხრიდან სამოტივაციო წერილის დაწერას, 2 (ორი) აკადემიური პერსონალის რეკომენდაციის წარმოდგენას და გასაუბრებას დეპარტამენტის დირექტორთან და/ან გუნდის სხვა წევრებთან. ელჩი-სტუდენტები უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას მომავალ სტუდენტებს, პასუხობენ მათ შეკითხვებს, აქტიურად ერთვებიან მომავალი სტუდენტებისთვის დაგეგმილ ღონისძიებებში და ა.შ.

- 5.4. ადამიანური კაპიტალის მართვის და სტუდენტთა წარმატების დეპარტამენტი ორგანიზებას უწევს კურიკულუმის გარე აქტივობებს, რომლებიც თანხვედრაშია უცხოელ სტუდენტთა კულტურასთან, მაგ. ღონისძიებები ტარდება ჩინური ახალი წლის, რამადანის, ნავრეჰის (ინდური ახალი წელი) აღსანიშნავად.
- 5.5. სტუდენტთა რეკრუტირების, მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე რეგულარულად აქვეყნებს პრეს-რელიზებს როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე, იყენებს სოციალურ მედიას (Facebook/Twitter/Linkedin/Instagram) უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებისა და განხორციელებული სიახლეების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად, პერიოდულად აქვეყნებს მონაცემებს სტუდენტთა/კურსდამთავრებულების კარიერული პროგრესის შესახებ და ა.შ.
- 5.6 უნივერსიტეტი ითვალისწინებს სხვადასხვა ქვეყნის მიერ ვებ-ის მოხმარების თავისებურებებს (მაგ. ჩინეთის შემთხვევაში, ალტე უნივერსიტეტი აქვეყნებს მის შესახებ ინფორმაციას Baidu-სა და Baibe-ზე, რაც ჩინეთში Google-სა და Wikipedia-ს ალტერნატივაა).
- 5.7. სტუდენტთა რეკრუტირების, მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი უწევს დახმარებას და კონსულტაციას სტუდენტებსა და მათ აგენტებს სავიზო რეჟიმთან და სხვა რეგულაციებთან დაკავშირებით, აწვდის მათ ინფორმაციას შესაბამის სამართლებრივ აქტებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

- 5.8. ალტე უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, მომავალ სტუდენტებთან და მათ მშობლებთან პირადად შეხვედრის მიზნით, რეგულარულ ვიზიტებს გეგმავს სხვადასხვა ქვეყანაში.
- 5.9. ალტე უნივერსიტეტი თანამშრომლობს უცხოურ უსდ-ებთან, მონაწილეობს საერთაშორისო საგანმანათლებლო და კვლევით ღონისძიებაში, რაც ამაღლებს უნივერსიტეტის ცნობადობას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში და დადებით გავლენას ახდენს უცხოელი სტუდენტების ალტე უნივერსიტეტით დაინტერესების საკითხში.
- 5.10. უნივერსიტეტი ხელს უწყობს ალტეს სტუდენტთა მონაწილეობას სხვადასხვა სახის ახალგაზრდულ ღონისძიებებში როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ, სადაც სტუდენტები, სხვადასხვა დაგეგმილ აქტივობებთან ერთად, პოპულარიზაციას უწევენ უნივერსიტეტს.
- 5.11. ალტე უნივერსიტეტი ეხმარება უცხოელ სტუდენტებს დროებითი საცხოვრებლის მოძიებაში.
- 5.12. სასწავლო პროცესის და სამეცნიერო კვლევების ინტერნაციონალიზაციის კუთხით, ალტე უნივერსიტეტისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უზრუნველყოფა მაღალი კვალიფიკაციის მქონე არამხოლოდ ადგილობრივი, არამედ, უცხოელი პერსონალის მეშვეობითაც. ამ მიზნით, უნივერსიტეტი მხარს უჭერს აკადემიურ მობილობას და აწარმოებს აკადემიური პერსონალის გაცვლას პარტნიორ უნივერსიტეტებთან, რაც წარმოადგენს უნივერსიტეტის საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს როგორც გრძელვადიანი კვლევითი პროექტების რეალიზაციისთვის, ასევე უზრუნველყოფს ლექტორთა რეგულარულ როტაციას.
- 5.13. ალტე უნივერსიტეტი ორგანიზებას უწევს საერთაშორისო სემინარების და კონფერენციების ჩატარებას, ხელს უწყობს საერთაშორისო კვლევების განხორციელებას.

- 5.14. უცხოელი პერსონალის მოსაზიდად, უნივერსიტეტში შექმნილია ისეთი აკადემიური გარემო, სადაც უცხოელ სპეციალისტებს, ადგილობრივ კოლეგებთან თანამშრომლობით, პროფესიული განვითარების საშუალება ეძლევათ.
- 5.15. უნივერსიტეტი მხარს უჭერს და აფინანსებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას როგორც შიდა რესურსებით, ისე გარე დონორების მოზიდვის გზით.
- 5.16. ალტე უნივერსიტეტს, თავისი ფართო საერთაშორისო ინსტიტუციური თანამშრომლობით და სტრატეგიული პარტნიორებით როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე, შეუძლია უცხოელი სტუდენტების და სპეციალისტების მოზიდვა და საკუთარი სტუდენტებისა და მეცნიერებისათვის უცხოური გამოცდილების შეთავაზება.

მუხლი 3. საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება

1. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა მოიცავს:

უცხოელი სტუდენტების მიღებას, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას; ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებს; კვლევითი პროექტების ფარგლებში საერთაშორისო თანამშრომლობას; საერთაშორისო კონფერენციებს, აკადემიურ ასპექტებს.

2. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების შედეგად ვიღებთ:

- ✓ სწავლა/სწავლებისა და მეცნიერების ხარისხის გაუმჯობესებას და აკადემიური ჰორიზონტის გაფართოებას;
- ✓ ინსტიტუციურ ზრდას და განვითარებას, ინსტიტუციური პროფილის და სტატუსის გაუმჯობესებას;
- ✓ გვეძლევა სწავლებასა და კვლევაში ინტერნაციონალურ აკადემიურ სტანდარტებზე ორიენტირების შესაძლებლობა;
- ✓ იქმნება ინტელექტუალური, ინფრასტრუქტურული და ფინანსური რესურსების გაზიარება /კონცენტრაციის შესაძლებლობა (განსაკუთრებით სამეცნიერო საქმიანობის მიმართულებით).

3. საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების ინდიკატორებია:

- ✓ უცხოელი სტუდენტების რაოდენობა უნივერსიტეტში;
- ✓ გაცვლით პროგრამებში ჩართული სტუდენტების რაოდენობა;
- ✓ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი;
- ✓ საერთაშორისო პერსონალის (პარტნიორი უნივერსიტეტიდან) უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულობის მაჩვენებელი;
- ✓ ერთობლივი და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა;
- ✓ ერთობლივი საერთაშორისო კვლევების და მასში ჩართული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობა;
- ✓ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების რაოდენობა.

